ხელშეკლრულება N26

ქ. ბათუმი 24 იანვარი 2012 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი საფინანსო სამსახურის უფროსის მერაბ ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ბათუმი–ექსპრესი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის გელა პატარაიას სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებას. **CPV 222 100 00**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის პერიოდულად სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთების მიწოდება (დანართი N1–ის შესაბამისად).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2173.06 (ორიათას ასსამოცდაცამეტი ლარი და 6 თეთრი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საბიუჯეტო სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N8–10;
5.2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 01 თებერვლიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მოითხოვოს მიმწოდებლისგან საქონლის მიწოდება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
ბ) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე მისაწოდებელი საქონლის ხარისხის (ფასის) კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.4. დანართი N1 თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველის რეკვიზიტები:

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 8–10
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900
ტელეფონის ნომერი: 27 99 00

საფინანსო სამსახურის უფროსი: მერაბ ჯოჯუა

მიმწოდებლის რეკვიზიტები:

იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს ,,ბათუმი–ექსპრესი"
ხელმძღვანელის სახელი და გვარი: გელა პატარაია
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N90
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 424 116
მომსახურე ბანკის დასახელება: სს " პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის ნომერი: GE18PC0033600100022462
ტელეფონის ნომერი: 557 00 16 10

დირექტორი: გელა პატარაია

ხელშეკრულება №26 24.01.2012

დანართი №1

შპს "ბათუმი ექსპრესი"

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	აჭარა	286	0,41	117,26	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
2	ბათუმელები	96	1	96	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
3	ახალი ვერსია	144	0,8	115,2	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
4	ალია	190	1,7	323	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
5	ალია ქრონიკა	96	2,2	211,2	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
6	The georgian today	48	2,7	129,6	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
7	კვირის პალიტრა	98	1,2	117,6	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
8	ლიბერალი	48	2,2	105,6	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
9	24 საათი	574	0,6	344,4	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
10	პრაიმტაიმი	96	1,2	115,2	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
11	რეზონანსი	670	0,6	402	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
12	ტაბულა	48	2	96	ქ. ბათუმი	01.02.12-31.12.12
	ჯამი			2173,06		